

# ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) საინფორმაციო ნოტა ტუბერკულოზის და კოვიდ-19-ის შესახებ

ნაწილი III

ნინო ლომთაძე,  
ტფდეც-ს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი  
14 აპრილი 2020  
თბილისი



# შესაძლებელია ტუბერკულოზის და კოვიდ-19-ის ერთი და იგივე ტიპის ნიმუშზე ტესტირება?

- ტუბერკულოზის და კოვიდ-19-ის სადიაგნოსტიკო მეთოდები განსხვავდება ერთმანეთისგან და ტესტირებისთვისაც სხვადასხვა მასალა ესაჭიროებათ. ასევე ტუბერკულოზის ტესტირება მეტად დეცენტრალიზებულია, ხოლო კოვიდის ტესტირება რეკომენდებულია უფრო ცენტრალიზებულად წარმართოს საწყის ეტაპზე მაინც.
- ტუბერკულოზისთვის კულტურალური თუ მოლეკულური ტესტირებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ნახველი და ბევრი სხვა ბიოლოგიური მასალა.
- კოვიდ-19-ის სადიაგნოსტიკო ტესტები კი ძირითადად ამბულატორიულ პაციენტებში ტარდება ცხვირნახიდან ან პირნახიდან ტამპონით აღებული ნაცხის ან გამონარეცხის საშუალებით, თუმცა მძიმე რესპირატორული დაავადების მქონე პაციენტებში შესაძლებელია ენდოტრაქეალური ასპირატის ან ბრონქოალვეოლარული ლავაჟის გამოყენება.
- დღესდღეობით როგორც ტუბერკულოზის ასევე კოვიდ-19-ის სადიაგნოსტიკოდ მოწოდებულია მოლეკულური ტესტების გამოყენება. სეროლოგიური ტესტები არ არის რეკომენდებული კოვიდ-19-ის რუტინული დიაგნოსტიკისთვის.
- ბოლო თვეების განმავლობაში შთამბეჭდავი რაოდენობის სადიაგნოსტიკო ტესტი შეიქმნა (ინფორმაცია ტესტების შესახებ კონსოლიდირებულია FIND-ის მიერ მათ ვებგვერდზე). მათ შორისაა GeneXpert-ის ექსპრეს სარს-კოვ-2 კარტრიჯი რომელსაც 2020 წლის მარტში FDA-იმ სწრაფი გამოყენების ავტორიზაცია მისცა და საკვლევ მასალად ჭირდება ცხვირნახის ნაცხი, ცხვირის გამონარეცხი/ასპირატი. ნახველში კოვიდ-19-ის აღმოჩენაზე კარტრიჯი ჯერ არ შეფასებულა.

# ტუბერკულოზისა და კოვიდ-19-ის კოინფექციის დროს ტუბერკულოზის მკურნალობა განსხვავებულია?

- უმეტეს შემთხვევებში ტუბერკულოზის მკურნალობა არ შეიცვლება, თუმცა კოვიდის და ტუბერკულოზის ერთდროული მართვის შესახებ გამოცდილება თითქმის არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ იქ სადაც ამის კატეგორიული უკუჩვენება არ არსებობს, ტუბერკულოზის პრევენციული და სენსიტიური და რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა უნდა უწყვეტად გაგრძელდეს რათა დაცული იყოს პაციენტების ჯანმრთელობა.
- დღეს მსოფლიოს მასშტაბით დანერგილია ტუბერკულოზის საპრევენციო და სამკურნალო საკმაოდ ეფექტური სამკურნალო რეჟიმები. ასე რომ პანდემიის დროს მნიშვნელოვანია რომ მკურნალობა არ შეწყდეს კოვიდ-19-ით დაავადების შემთხვევაშიც რათა გაიზარდოს გამოჯანმრთელების ალბათობა და შემცირდეს ტრანსმისიის თუ დამატებითი რეზისტენტობის განვითარების რისკი.
- გვახსოვდეს! რომ მკურნალობის გარეშე ტუბერკულოზით სიკვდილობა 50%-ს აღწევს და შეიძლება უფრო მაღალი იყოს ხანდაზმულ ასაკში და თანმხლები დაავადებების არსებობისას.
- ასე რომ, კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად შენარჩუნებული უნდა იყოს ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის და ტუბერკულოზის დაავადების მკურნალობის უწყვეტობა

# ტუბერკულოზისა და კოვიდ-19-ის კოინფექციის დროს ტუბერკულოზის მკურნალობა განსხვავებულია?

- ასე რომ, კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად შენარჩუნებული უნდა იყოს ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის და ტუბერკულოზის დაავადების მკურნალობის უწყვეტობა
- არ უნდა დავუშაოთ ტუბერკულოზის კონტროლის სისტემების რღვევა კოვიდ-19-თან ბრძოლის პერიოდში.
- ვინაიდან კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო კონკრეტული მკურნალობა არ არსებობს და მიმდინარეობს მრავალი კვლევა მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობასთან შესაძლო წამალთაშორისი ურთიერთქმედების შესახებ ვერაფერს ვიტყვით.
- მიუხედავად ამისა გულისხმობს უნდა შევავსოთ ინფორმაცია ყველა სამკურნალო საშუალების შესახებ რომელსაც ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი შეიძლება იღებდეს, რათა თავიდან ავიცილოთ წამალთაშორისი ურთიერთქმედება ან არასასურველი მოვლენები.

მადლობა ყურადღებისთვის!